ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 75
(11 634)

27 - 30 სექტემბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბატონ გელა კეტაშვილს



ბატონო გელა!
ნებისმიერი თქვენი თანამემამულისთვის ბედნიერებაა მოგილოცოთ დაბადების დღე, ასეა ჩემთვისაც. მოხარული ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა დაგიდასტუროთ ჩემი უღრმესი პატივისცემა თქვენი პიროვნებისა და სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში გაწეული უთვალსაჩინოესი დვაწლისათვის. ქართული ფეხბურთი იმსახურებდა, რომ მის რჩეულს ფეხი შეედგა ოლიმპზე, ეს თქვენ შეძელით და სათავე დაუდეთ ისტორიულ მოვლენას. დიახ, საქართველოდან ერთადერთს მხოლოდ თქვენ გხვდათ წილად ბედნიერება დედასაქართველოსთვის მოგეტანათ ფეხბურთში ოლიმპიური ოქროს მედალი. ეს სიხარული განსაკუთრებულობას არასდროს დაკარგავს, რადგან პირველს, ვერავინ და ვერასდროს შეცვლის — მუდამ პირველი აღტაცებისა და პირველი სიამაყის განცდასთან იქნება წილნაყარი.
თაყვანისცემა არასდროს მოგაკლდებათ, ღმერთმა არც ჯანის სიმრთელე და მხნეობა მოგაკლოთ!

ღრმა პატივისცემით ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## დაჯილდოება:

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქართული სპორტის ისტორიის შესწავლაში, მის პოპულარიზაციაში, სპორტული დიდების მუზეუმის შექმნასა და ექსპოზიციის მასალებით შევსებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმის თანამშრომლები, დირექტორი და ფონდების მთავარი შემნახველი ლილი ლომსაძე და უმცროსი მეცნიერი მუშაკი აზა მოგელაძე დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

## უსაფრთხოების ზომებს მიიღებენ

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა ქვეყნის ძალოვანი უწყებებისა და მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლის მთავარი თემა იყო საქართველო — რუსეთის მომავალი საფეხბურთო და სარაგბო მატჩები.

ითქვა, რომ მიიღებენ ყველა ზომას, რათა ორივე მატჩი მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდეს.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს და რუსეთის ახალგაზრდული საფეხბურთო გუნდები 11 ოქტომბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო ძირითადი გუნდები — 12 ოქტომბერს, „ლოკომოტივზე“.

## რუსები გვეწვევიან!

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა ვერავითარ აუცილებლობას ვერ ხედავს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების 12 ოქტომბრის მატჩი თბილისში საქართველოს ნაკრებთან თბილისში არ ჩატარდეს. „ეს მატჩი თბილისში გაიმართება და რუსეთის საფეხბურთო კავშირს არ დაუყენებია მისი სხვაგან გადატანის ან სხვა დროს ჩატარების საკითხი, — განაცხადა გუშინ რსკ-ს გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა, — ჩვენ შევისწავლეთ სიტუაცია და იმ დასკვნამდე მივედით, რომ პრეტენზიები არარეალურია“.

## კახი კალაძე: „რუსებთან ბოლომდე ვიბრძოლებთ“

ყველამ იცოდა, რომ თურქეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში კახი კალაძე არ ითამაშებდა, რადგან „მილანის“ ქართველი ლეგიონერი არ აპირებდა საქართველოს ნაკრების ღირსების დაცვას მანამ, სანამ თავისი დაკარგული ძმის შესახებ რაიმე დამაიმედებელ სიახლეს არ შეიტყობდა. კახი ტრაბზონში ჩავიდა როგორც ტურისტი, რათა ტრიბუნიდან ექცქირა თურქეთ — საქართველოს მატჩისათვის, მაგრამ...



პირველ ტაიმს ქართველები უსუსურად თამაშობდნენ, შესვენებაზე კახი მივიდა ალექსანდრე ჩივაძესთან და ორი სიტყვა უთხრა (ამ სიტყვებს ხომ მთელი საქართველო ელოდა): „მე ვითამაშებ!“

„უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებში დაბრუნე-

იხ. მე-4 გვ.

## ნომერშია:

● **გიხაროდენ! რუსეთის შემდეგ მსოფლიოში მეორე ვართ!** ● **ქართველ ბავშვისგან უცხოელმა დედებმა გადაუარეს ქალთა** ● დაიწყო დუდუ დადიანის მემორიალი ● **ჩივაძე, შენგელია და სულაქველიძე სსრ კავშირის ვეტერანთა ნაკრებში ითამაშებენ** ● კახი კალაძე: „ჩემი ძმა მოიტაცეს, მაგრამ გულშემატკივარმა რა დააშავა, ამიტომ დავბრუნდი ნაკრებში“ ● **მსაჯს ზოგან კბენენ, ზოგან კლავენ კიდეც...** ● ***„ინგლისური პრესა ნაგავია“ — ამბობს დი კანიო*** ● ძმები კლიჩკოების ქველმოქმედება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონს ფეხბურთში გელა კეტაშვილს.

## მილოცვები

საქართველოს ვეტერანი კალათბურთელები დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავენ წარსულში სახელოვან დინამოელ კალათბურთელს, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონს და სამგზის თასის მფლობელს, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს არაერთგზის ჩემპიონს და პრიზიორს, „10 ქალაქის მატჩის“ გამარჯვებულს ჯუმბერ ნიჟარაძეს.

# ხვალ: ქართველთა დიდი შერკინება დუბლინში!

## სორელმა შემადგენლობა დაასახელა



*ირლანდიელები ქართველებთან შესახვედრად ასე ემზადებიან*

*28 სექტემბერს ირლანდიის ძლიერ გუნდთან გასვლითი შეხვედრით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იწყებს ასპარეზობას მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე.*

შეგახსენებთ, რომ სამგუნდიან ჯგუფში, გასულ შაბათს, უკვე გაიმართა ერთი შეხვედრა: რუსეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე დამარცხდა ირლანდიელებთან 3:35.

ირლანდიის ნაკრები რომ ჯგუფის აშკარა ფავორიტია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამ გუნდს პრაქტიკულად განაღდებული აქვს თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე თამაში. ჯგუფში გამსვლელი მეორე ადგილისათვის ბრძოლა ქართველ და რუს მორაგბეებს შორის გაიმართება 13 ოქტომბერს თბილისში, მანამდე „ბორჯღალოსნებს“ კი, როგორც ითქვა, ირლანდია ელით.



*1998 წ. დუბლინი, ქართველების პირველი მატჩი ირლანდიელებთან.*

საინტერესოა, რომ ქართველები ირლან-

იხ. მე-2 გვ.

# როცა მსოფლიოში მეორე ხარ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს...

### ჩემპიონატის ექო



*პრესკონფერენციაზე — მარცხნიდან: დავით გობეჯიშვილი, ბეგი დარჩია და ომზარ შოშიტაშვილი*
*ფოტო რობერტ ბაგოიანისა*

**მოსკოვში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებზე „ლელოს“ წინა ნომერში ოპერატიულად ვწერდით. ახლა, როცა ჩვენი ნაკრები შინ დაბრუნდა, შეთანხმებისამებრ, რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი.**

● ***ბატონო ომზარ! ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატში, საბოლოო ჯამში, შეფასდა როგორც თვალსაჩინო წარმატება. კონკრეტულად რას იტყოდით ჩვენების შედეგებზე. ვისგანაც გნებავთ დაიწყეთ...***

— დავიწყებ ბადრი ხასაიათი. წლეულს ამ ახალგაზრდამ პირველად შედგა ფეხი დიდ სპორტში და უმალვე, ევროპის ჩემპიონობასთან ერთად, იგი კონტინენტის №1 მოჭიდავედ დაასახელა საერთაშორისო ფედერაციამ, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ბადრი მზად იყო მოეგო მსოფლიო ჩემპიონატიც. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო — ფინალში გასასვლელად, გზადაგზა მან ოთხი მეტოქე ჩამოიტოვა, მათ შორის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონიც, ფინალში კი, ევროპის ჩემპიონატიდან ნაცნობ მეტოქეს, რუსეთელ სამურგაშევს გადაეყარა, რომელსაც ევროპა მოუგო ჩვენმა ფალავანმა, ამჯერად კი ასევე ქულებით სამურგაშევმა იმარჯვა.

მანუჩარ კვირკველია (66 კგ) ჩემპიონატის დებიუტანტი იყო. მანამდე იგი საჭიდაო სამყარომ ახლოს გაიცნო ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მეორე ადგილზე გავიდა. ახლა კი, მსოფლიო ჩემპიონატზე, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, იგი უშუალოდ შეჯიბრების პერიოდში ჩამოყალიბდა ლიდერად.

● ***კონკრეტულად, რას გულისხმობთ?***

— თავიდანვე, ზედიზედ, როგორც იტყვიან, ერთმანეთს მიაყოლა თავისზე გამოცდილი ფალავნები, თანაც წმინდა მოგებებით, რისთვისაც ტურნირის ბოლოს სპეციალური პრიზიც კი გადაეცა.

მეოთხე წრეში, სამწუხაროდ, ბულგარელთან შეხვედრაში, მას შემდეგ, რაც აშკარა უპირატესობით იგებდა, მანუჩარმა წარბი დაიზიანა.

იხ. მე-3 გვ.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის ნბლ-ს „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩს მინესოტას „იქსელ ენერგი ცენტრეს“ დარბაზი უმასპინძლებს. რაც შეეხება წლევანდელ „ვარსკვლავთცვენას“, მას ფლორიდაში ელიან.

● ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ, რაც ტრავმით იყო გამოწვეული, რამდენიმე დღეში ვარჯიშს შეუდგება „მილანის“ უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო. ექიმების დასკვნით, ფეხბურთელი გამოჯანმრთელებულია, თუმცა ამ ეტაპზე მისთვის უმჯობესი იქნება მსუბუქი ვარჯიშით დატვირთვა.

იხ. მე-3 გვ.

## „ბაიერნს“ „მილანთან“ მძიმე ბრძოლა ელის



ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 11 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 5 თვე გვაშორებს



**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## ათენში მოსახლეობას სატელევიზიო ანტენებს აალებინებენ

2004 წლის ოლიმპიური თამაშების დღეებში, ათენის ქუჩების გალამაზებისათვის, შენობებიდან აიღებენ სატელევიზიო ანტენებს. მოსახლეობა ისარგებლებს დიდი საერთო ცენტრალური ანტენით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ამუშავებს გეგმას, რომელიც ანტენების დემონტაჟისთვის მოსახლეობის ეკონომიკურ სტიმულირებას ითვალისწინებს.

## ოლიმპიური ცრუტერორისტი დამნაშავედ სცნეს

წლეულს, სოლტ-ლეიკ-სიტში ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს გავრცელდა საგანგაშო ცნობა, რომ ოლიმპიადის ქალაქში ჩამოვარდებოდა თვითმფრინავი. ამის შესახებ ვინმე ფრედერიკ გრეგენმა 18 თებერვალს აცნობა აშშ-ის ფედერალურ საავიაციო უწყებას. ცნობაში ნათქვამი იყო, რომ 15 ტერორისტი „დელტას" ავიალაინერს ჩამოაგდებდა ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის ცენტრში.

სასამართლომ ფრედერიკ გრეგენი დამნაშავედ სცნო ადამიანების შეგნებულად დაშინების მცდელობასა და პანიკის გამოწვევაში. ამ დანაშაულისთვის მას სამი წლით პირობითი სასჯელი და 300 დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს. ამ პერიოდის განმავლობაშ იგი ფსიქიატრიულ დახმარებასაც მიიღებს.

## აკოსტა ისევ ფრენბურთის „შეფია"

არგენტინა დედაქალაქ ბუენოს-აირესში ჩატარდა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. სადაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი, მექსიკელი რუბენ აკოსტა, კვლავ აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე.

საინტერესოა, რომ რუბენ აკოსტა უკვე 18 წელია ხელმძღვანელობს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომელიც 100-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს.

აკოსტას დამსახურებაა, რომ საპლაჟო ფრენბურთი სპორტის ოლიმპიურ სახეობად იქცა.

**ბატუტი** საერთაშორისო ტურნირი. «ნისანის თასი»

# როცა გიჭირს, ისიც კარგია თუ ვინმე შეგიწყობს

## სპორტსმენები. რომლებიც უსახსრობით შეჯიბრებაზე ვერ მიდიოდნენ. შინ თასით და ოქროს მედლით დაბრუნდნენ

კარგია, როცა ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში, რაც მათ ეხმარებათ კლასის ამაღლებასა და გამოცდილების შეძენაში. ამ დღეებში ასეთი გზის გავლის შესაძლებლობა მიეცათ ქართველ ბატუტისტებს. შვეიცარიის ქ. სენტ-მორისში „ნისანის თასზე" გამართულ საერთაშორისო ტურნირში 12 ქვეყნის უძლიერეს ბატუტისტთა შორის წარმატებისთვის იბრძოდა ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) სამი აღსაზრდელი — 12 წლის ლუბა გოლოვინა, 15 წლის თენგიზ კოშკაძე და 17 წლის სოფიო გულიაშვილი.



სოფიო გულიაშვილი

ჩვენებმა თავიდანვე მიიქციეს სპეციალისტების ყურადღება და ეს არც იყო გასაკვირი. ლუბა გოლოვინა და სოფიო გულიაშვილი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები არიან ახალგაზრდებს შორის. თენგიზ კოშკაძესთან ერთად კი „აახენის" საერთაშორისო ტურნირის თასის მფლობელები არიან. ჩვენს ოსტატებს არც ამ ტურნირში შეურცხვენიათ თავი. ვაჟთა შორის „ნისანის თასი" და ოქროს მედალი მოიპოვა თენგიზ კოშკაძემ (მწვ. ზაურ სულაშვილი), გოგონათა შორის კი ვერცხლის მედალი მოიპოვა ლუბა გოლოვინამ (მწვ. ვალერი ჩხაბერიძე). უფროსი ასაკის გოგონათა შორის IV ადგილზე გავიდა სოფიო გულიაშვილი (მწვრთ. ზაურ სულაშვილი), რომლისთვისაც ეს პირველი ასპარეზობა იყო უფროს ასაკში.



ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე

რაც შეეხება სინქრონულ ხტომებს, ლუბასა და სოფიოს წყვილმა უფროს ასაკში IV ადგილი დაიკავა. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა ქართველი ბატუტისტებისთვის, მით უმეტეს, რომ უსახსრობის გამო გუნდს შეჯიბრებაზე მსაჯი არ ახლდა, ასეთ დროს კი „უპატრონოებისთვის" მსაჯები ქულებს ძუნწად იმეტებენ. ეს ტურნირი ძალების ერთგვარი გამოცდა იყო ევროპის ასპარეზობის წინ, რომელიც ნოემბერში სანკტ-პეტერბურგში გაიმართება. ზემოხსენებულ ტურნირში მონაწილეობისთვის ჩვენი სპორტსმენები დააფინანსა და საორგანიზაციო საკითხები მოაგვარეს საქართველოში აკრედიტებულმა უცხოელმა მოქალაქეებმა: ჯონათან დანმა, კეტრინ ფიშერმა და ნიკალა ლაუერმა. „ეს უცხოელები იმ ბავშვების მშობლები არიან, რომლებიც ჩვენს სპორტულ სკოლაში ვარჯიშობენ და ნახეს რა ჩვენი გასაჭირი, მხარში ამოგვიდგნენ. დიდი მადლობა მათ!" — თქვა როზა ბერიკაშვილმა.

**ლაშა გოგია**

# სორელმა შემადგენლობა დაასახელა

*(პირველი გვერდიდან)*

დიელებს ერთხელ უკვე შეხვდნენ 1998 წელს, მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში. ჩვენმა მორაგბეებმა დუბლინში წააგეს კატასტროფული ანგარიშით 0:70, თუმცა, დამეთანხმებით, მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და „ბორჯღალოსნებმაც" დიდი პროგრესი განიცადეს. არა, იმას არ ვამბობთ, რომ კლოდ სორელის შეგირდები შეძლებენ ირლანდიელთა დამარცხებას (თუმცა, ვინ იცის, სასწაულებიც ხომ ხდება...), მაგრამ გვჯერა, რომ 70 ქულის სხვაობით ნამდვილად აღარ წააგებენ.

და კიდევ, „ბორჯღალოსნებისთვის" დუბლინური მატჩი საიუბილეო, — 50-ე იქნება გუნდის ისტორიაში. აქამდე ქართველებმა 49 შეხვედრა გამართეს, 32 მოიგეს, 2 ფრედ დაასრულეს, 15 კი წააგეს.

საირლანდიოდ კლოდ სორელმა 22 მორაგბე შეარჩია: 1. გოდერძი შველიძე, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. ლევან ცაბაძე, 4. ვანო ნადირაძე, 5. ვიქტორ დიდებულიძე, 6. დავით ბოლღაშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ილია ზედგინიძე, 9. ირაკლი აბუსერიძე, 10. პავლე ჯიმშელაძე, 11. ბადრი ხეხელაშვილი, 12. კახა ალანია, 13. თედო ზიბზიბაძე, 14. მალხაზ ურჯუკაშვილი, 15. ბესიკ ხამაშურიძე, 16. მევლუდ მთიულიშვილი, 17. ტარიელ რატიანიძე, 18. ზურაბ მჭედლიშვილი, 19. ირაკლი გუნდიშვილი, 20. ელგუჯა იოვაძე, 21 ვასილ კაცაძე, 22. ოთარ ბარკალაია. ზემოთჩამოთვლილთა გარდა, გუნდში არიან გიორგი ელიზბარაშვილი, ზვიად მაისაშვილი და დავით აშვეთია.

ვის დაახვედრებს დუბლინში ჩასულ საქართველოს ნაკრებს ირლანდიელთა მწვრთნელი ედი ო'სულივენი? წინასწარი ცნობით, მან შეინარჩუნა ის შემადგნელობა, რითაც რუსების წინააღმდეგ იასპარეზა: რეგი კორიგანი, ჯონ ჰეისი, პოლ უელანსი, კეიტ ვუდი, შეინ ბირნი, გარი ლონგვენი, მალკოლმ ო'კელი, ლეო კულენი, სიმონ ესტერბი, ენტონი ფოლი, ერიკ მილერი, კეიტ გლესონი, მარკუს ჰორანი, ალან კუილანი, გირვან დემასი, ჯონ კელი, დენის ჰიკი, კევინ მაგრი, რობ ჰენდერსონი, ბრაიან ო'დრისკოლი, დევიდ ჰემფრი, რონან ო'გარა, პიტერ სტრინგერი, გაი ესტერბი, ჯასტონ ბიშორი, ჰედი უელანი.

და ბოლოს, გეტყვით, რომ ირლანდია — საქართველოს მატჩი დუბლინში სტადიონ „ლეზდაუნ როუდზე" შედგება.

**თენგიზ ჩოგანიძე**

# ისან-სამგორის რაიონმა მიიწვია

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქში ისან-სამგორის რაიონში სპორტს გამორჩეულად ექცევა ყურადღება. ამჯერად რაიონის სპორტის თავკაცებმა, გამგეობის ხელშეწყობით, ძიუდოში ჩაატარეს ჭაბუკთა ღია პირველობა, რომელშიაც თავიანთი ძალები თბილისის სხვა რაიონების წარმომადგენლებმაც მოსინჯეს. ასპარეზობის კონკრეტული ორგანიზატორები იყვნენ №3 სპორტსკოლა (დირექტორი ომარ იოსელიანი, მოადგილე — ალექსანდრე ტატიშვილი, მწვრთნელი — კარენ არუთინიანი) და 95-ე საშუალო სკოლა (დირექტორი რიმა პოლოსიანი), რომელმაც მოასპარეზეებს თავისი ბაზა დაუთმო.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 27 კგ:*** 1. მურატ მურადოვი (№3 სპ. სკ.), 2. ლევან გიჯაშვილი, 3. გიორგი ცერცვაძე (ორივე — კომპლექსური სპ. სკ №8) და ლაშა მახათაძე („მართვე"); ***30 კგ:*** 1. ვახტანგ ცერცვაძე (№8), 2. ნიკა ქელეხიძე („შევარდენი"), 3. დავით ავალიანი და არჩილ სომხიშვილი (ორივე — №8); ***34 კგ:*** 1. შალვა ჰილაური („მართვე"), 2. პაატა მერაბიშვილი (№3), 3. გიორგი და სოსო გიუნაშვილები (ორივე — №8); ***38 კგ:*** 1. ირაკლი კეკელია („შევარდენი"), 2. გიორგი მუჯირიშვილი (№8), 3. არსენ მაზმანიანი (№3); ***42 კგ:*** 1. სერგო სარქისოვი, 2. გიორგი ამირეჯიბი (ორივე — №8), 3. რამაზ ჯანგულაშვილი („მართვე"); ***50 კგ:*** 1. მიხეილ გელაშვილი („მართვე"), 2. სამველ ელიანი (№3), 3. გიორგი ბექიტაშვილი („მართვე"); ***55 კგ:*** 1. შოთა ბექიტაშვილი („მართვე"), 2. ლაშა ქოქიაშვილი (№3); ***60 კგ:*** 1. ლაშა ნახუცრიშვილი (№3), ლევან სარადიძე („მართვე"), 3. სერგო გევორქიანი (№3) და პეტრე აკიშბაია (№8).

**ნ. ქავთარაძე,**
**თ. პეტრემღვდლიშვილი**

*სურათზე: გამარჯვებულები და პრიზიორები ქ. თბილისის №3 კომპლექსური სპორტული სკოლიდან.*



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

**ჯანმრთელობის კუთხე**



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

## მომავლის ადამიანი ბუნებისა და ტექნიკის ჰიბრიდი?

XXI საუკუნის მედიცინამ ახალი ასწლეულის დასაწყისშივე ჩაუყარა საფუძვლები მომავალ საოცრებებს. განსაკუთრებით გამაოგნებელია უკვე წინგადადგმული ნაბიჯი, რითაც ადამიანის ორგანიზმისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების ურთიერთ შეხამების საფუძველზე მიიღწევა როგორც მთელი რიგი დაავადებების თავიდან აცილება, ისე სიცოცხლის გახანგრძლივება. მაგალითად, აქამდე თუ უცხო არ იყო ადამიანის მკერდში ხელოვნური, ანუ მექანიკური გულის ჩადგმა, ახლა საქმე იქით მიდის, რომ ადამიანს საკუთარ გულთან ერთად ჩადგმული ექნება მეორე, სათადარიგო, ცხადია, მექანიკური გული. გიღალატა ბუნებრივმა გულმა? ამუშავდება — მექანიკური!

გერმანელი მეცნიერი ფონ ხაგენსი, გარდა ამისა, ირწმუნება, რომ ტრავმირებულ მუხლს, ყურს, თვალსაც კი და საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოებს, ახლო მომავალში შეცვლის მექანიკური ორგანოები. „მე ასეთ ადამიანს ვუწოდებ სუპერადამიანს, რომელიც იქნება ბუნებისა და სამეცნიერო ტექნიკური მეცნიერების ჰიბრიდი" — აცხადებს მეცნიერი. „რა გაშინებთ, განა ექიმები პლასტიკური ქირურგიით დაწყებული, სტომატოლოგიით დამთავრებული, გამუდმებით არ ცვლიან ადამიანის ანატომიას?" — დასძენს იგი.

# როცა მსოფლიოში მეორე ხარ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს...

*(პირველი გვერდიდან)*

შერკინება მაინც ბოლომდე თავის სასარგებლოდ მიიყვანა. შემდეგი, უკვე ფინალში გასასვლელი შეხვედრა ჰქონდა და დასვენებაც ვერ მოასწრო, სულ რაღაც ნახევარ საათში უხმეს ხალიჩაზე. აქ მისი მეტოქე იყო აზერბაიჯანელი მანსუროვი. ჩვენი მოჭიდავე ფრთხილობდა, მაგრამ მაინც რამდენჯერმე წასკდა წარბიდან სისხლი. ექიმებმა ორთაბრძოლის შეწყვეტაც მოითხოვეს, თუმცა ჩვენი დაჟინებით ჭიდაობა გაგრძელდა. კვირკველიამ 2:3-ზე დათმო ეს პაექრობა. ამის შემდეგ უმალვე ჩაუტარეს ოპერაცია — რამდენიმე ნაკერიც დაადეს. მესამე ადგილისათვის ასე იჭიდავა მოსკოველ ფალავანთან, მაინც დამაჯერებლად დაამარცხა და დაეუფლა ბრინჯაოს მედალს.

● ***დანარჩენები რომელ ადგილზე გავიდნენ და ხად შეწყდა მათი წინსვლა?..***

— ოლიმპიური და ევროპის მრავალგზის პრიზიორი აკაკი ჩაჩუა (60), სამი გამარჯვების შემდეგ, მეოთხე წრეში 6:0-ს უგებდა პოლონელ ზავადსკის, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონია, მაგრამ დაუშვა უხეში შეცდომა და 6:7-ზე წააგო. საბოლოოდ აკაკი მხოლოდ V ადგილზე დარჩა. შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ (84), სამი მოგების შემდეგ თანაბარ ბრძოლაში დათმო შეხვედრა ეგვიპტელ ფატახისთან, რომელიც საბოლოოდ ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მუხრანი IX ადგილზე აღმოჩნდა.

● ***როგორ ფიქრობთ, ხომ არ ამოწურა შესაძლებლობები მუხრანმა?***

— არა, რას ბრძანებთ! ჩემს მიერ ზემოხსენებულ სამ შერკინებაში მისი გამარჯვებები რომ გეხილათ, დარწმუნდებოდით, რომ ამ მოჭიდავეს დიდი პოტენცია გააჩნია და უნარი შესწევს იბრძოლოს ოლიმპიური მედლისთვის.

ასევე IX ადგილი დაიკავა ირაკლი ჭოჭუამ (55). ეს ბიჭიც ნიჭიერი მოჭიდავეა, მაგრამ ჯერ გამოცდილება აკლია.

● ***გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრზე რამაზ ნოზაძეზე რას იტყოდით. ჩემპიონატის დღეებში დათო გობეჯიშვილი ამბობდა, რომ ნოზაძეს შესწევდა უნარი ებრძოლა მაღალი შედეგისთვის.***

— რამაზს მართლაც აქვს საუკეთესო მონაცემები. პოლონეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ამ ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე ჩატარდა, ჩვენმა მოჭიდავემ ყველა მეტოქეს, მათ შორის მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებს დიდი უპირატესობით მოუგო. მოსკოვში კი, პირველ წრეშივე, თურქ ფალავან ოზალთან შერკინებაში, თავისივე შეცდომით, ბეჭებზე აღმოჩნდა და დაემშვიდობა ჩემპიონატს. არადა, ჩვენიანი თავიდან ქულებით იგებდა.



ბადრი ხასაია



მანუჩარ კვირკველია

● ***რუსებმა მართალია, გუნდური პირველობა მოიპოვეს, მაგრამ დიდად არაფრით განსხვავდება შარშანდელი ჩემპიონატის მონაგრისაგან წლევანდელი. შარშან კი ჩაითვალა, რომ რუსები ჩაფლავდნენ...***

— შარშან რუსეთმა ოქროს ერთი და ვერცხლის ორი მედალი მოიპოვა. წლეულს ორი ოქროსი, თითო კი ვერცხლისა და ბრინჯაოსი. მთავარი მაინც ორი ოქრო კი არა, არამედ ყველა წონაში საპრიზო ადგილთან ახლოს ყოფნაა. ჩათვლას კი პირველი ათეული იძლეოდა.

● ***საქართველომ მეორე გუნდური ადგილი დაიკავა რუსეთის შემდეგ, როგორ შეაფასებდით ამ მიღწევას?***

— რაღა თქმა უნდა, იყო მსოფლიოში მეორე, უზარმაზარი წარმატებაა. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ხარ.

● ***საერთო აზრით, ამ ჩემპიონატზე მსაჯობა ობიექტური იყო. რამ გამოიწვია ეს, იქნებ იმან, რომ ფილა-ს ძველი პრეზიდენტი სწორედ ჩემპიონატის გახსნის წინ გადაირჩიეს და მოვიდა ახალი, მაგრამ ჭიდაობის სამყაროსათვის კარგად ნაცნობი შვედი რაფი მარტინეტი...***

— დიახ, მოვიდა ახალი ხელმძღვანელი, მაგრამ მარტინეტი ფილა-ს ვიცე-პრეზიდენტი იყო და სწორედ მსაჯთა კორპუსს კურირებდა. ასე რომ, როგორც თეირანში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე, აქაც ძირითადად ობიექტური იყო მსაჯობა.

● ***ჩემპიონატი დაემთხვა რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებას, რა დამოკიდებულებას იჩენდნენ საქართველოს დელეგაციის მიმართ მასპინძლები?***

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პირიქით, ვგრძნობდით უდიდეს ყურადღებას და თანაგრძნობას, არ მახსოვს ასეთნაირი სითბო როდესმე გამოეჩინოთ ჩვენს მიმართ მოსკოვში.

● ***გეთანხმებით, რომ მართლაც ანგარიშგასაწევი ძალა გავხდით მსოფლიო საჭიდაო სამყაროსთვის. რამ მიგვიყვანა ამ დონემდე?***

— ცხადია, ტრადიციებმა და ჭიდაობისადმი ბოლო წლებში არნახულად მონდომებულმა დამოკიდებულებამ. ჭიდაობისადმი ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტის, ოლიმპიური კომიტეტის ინტერესების გაერთიანებით, მათი ერთობლივი ძალისხმევით, ყველაფერი კეთდება თანამედროვე მსოფლიო საჭიდაო სამყაროში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

● ***თქვენი საუბრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნამდვილად საიმედო გუნდი გვყავს?***

— დამიჯერეთ, ასეა. კიდევ ვიმეორებ, როცა მსოფლიოში გუნდურ მეორე ადგილზე გადიხარ და უკან ჩამოიტოვებ ისეთ საჭიდაო ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი, ირანი, კუბა (შარშანდელი ჩემპიონი), აშშ და ა.შ. როგორ შეიძლება არ გქონდეს მომავლის იმედი. მით უფრო, რომ ნაკრებში ახლა 80 პროცენტი ახალი თაობის ფალავნები არიან.

● ***მოდით, საუბარს ისე ნუ დავამთავრებთ, მწვრთნელობაზეც არ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა...***

— კი, ბატონო! სიამოვნებით აღვნიშნავ მათ ამაგს. უპირველესად დიდი მადლობა უფროს მწვრთნელს ბეგი დარჩიას, რომელმაც აშკარად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ყველაზე წამყვან სპეციალისტთა შორის. მის გვერდით მუშაობენ ასევე გამოცდილი და [illegible] — ნამდვილად თავდადებული [illegible] მწვრთნელები: ჯონი რეხვიაშვილი, ოთარ ტატიშვილი, ვლადიმერ ადეიშვილი, ვაჟა კრაველიშვილი, ვილი ხარაზოვი, კონსულტანტი — გურამ რატიშვილი, ექიმები — გოგი ჭუმბურიძე და ზურაბ კახაბრიშვილი. დიდი მადლობა ბადრი ხასაიას პირად მწვრთნელს დათო დავითაიას და მანუჩარ კვირკველიას აღმზრდელს გურამ მაჭარაშვილს.

● ***და ბოლოს, ფინანსურ პრობლემებს როგორ აგვარებთ?***

— დასაწყისში ვთქვი, რომ შეთანხმებულად მუშაობს ფედერაცია, დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი. ამის შედეგია, რომ მუდამ გვიდგას მხარში და ნდობას გვიცხადებს ბანკი „კრედიტი", რომელიც ოპერატიულად გვიგვარებს ფინანსურ საკითხებს. დიდი მადლობა ამ ბანკის თავკაცს თორნიკე გვაზავას, მის თანამშრომლებს ასეთი მხარდაჭერისათვის...

ესაუბრა **თ. თომაშვილი**

## ჩემპიონატის მედლები და ქულები

### მედლები

| | | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1. | რუსეთი | 2 | 1 | 1 |
| 2. | საქართველო | — | 1 | 1 |
| 3. | კუბა | — | — | 2 |
| 4. | ბულგარეთი | 1 | — | 1 |
| 5. | აშშ | 1 | — | — |
| 6. | თურქეთი | 1 | — | — |
| 7. | შვეცია | 2 | — | — |
| 8. | ეგვიპტე | — | — | 1 |
| 9. | პოლონეთი | — | 1 | — |
| 10. | ირანი | — | — | 1 |
| 11. | აზერბაიჯანი | — | 1 | — |

### ქულები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | რუსეთი | — | 45 |
| 2. | საქართველო | — | 27 |
| 3. | კუბა | — | 26 |
| 4. | ბულგარეთი | — | 22 |
| 5. | აშშ | — | 22 |
| 6. | თურქეთი | — | 21 |
| 7. | შვეცია | — | 20 |

# დუდუ დადიანის მემორიალზე



**გუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკალათბურთო ტურნირი, რომელშიაც ექვსი ქართული გუნდი მონაწილეობს ორ ქვეჯგუფად.** „ა" ჯგუფში ასპარეზობენ ბათუმის „ბასკო", რუსთავის „აზოტი", თსუ; „ბ" ჯგუფში" თბილისის „დინამო", „სტუ-ჯეოსელი" და „მაკაბი".

ჯგუფური ტურნირები 28 სექტემბრამდე გასტანს. „ა" და „ბ" ჯგუფებში გამარჯვებულები 29 სექტემბერს ფინალში ითამაშებენ. გაიმართება შეხვედრები აგრეთვე III-V ადგილებისათვის. ეს ტურნირი, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და გაზეთი „ოლიმპი", ფაქტობრივად, მონაწილე გუნდებისათვის გენერალურ რეპეტიციადაც შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული ჩემპიონატის წინ.

**გუშინ:** „აზოტი" — თსუ 79:78, „დინამო" — „მაკაბი" 105:55.

**დღეს** „სტუ-ჯეოსელი" — „მაკაბი", „ბასკო" — „აზოტი"

## მატიანე 50 წლის წინათ

***ბათუმი.*** ქალაქის თასის გათამაშებაში ფეხბურთში 22 გუნდი მონაწილეობდა. თასის მფლობელნი გახდნენ „დინამოს" ფეხბურთელები.

***ჭიათურა.*** აქ ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში მოეწყო ტურნირი 20 მოჭადრაკის მონაწილეობით. პირველ ადგილზე გავიდა ზეინკალი პ. ოვანოვი — 19 ქულა, მეორეზე — ინჟინერი ბ. გიორგაძე — 16,5.

***სამტრედია.*** ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საჭიდაო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ხაშურის რაიონის ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და ტექნიკუმის სპორტსმენები ქართულ ჭიდაობაში. საინტერესო შეხვედრა სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა.

***თეთრი წყარო.*** თეთრი წყაროს რაიონის საჭადრაკო პირველობაში გამარჯვებული გავიდა ნ. ქლენტი, მეორეზე იყო ა. მამონტოვი, მესამეზე — გ. დიდებულიძე.

***სტალინირი.*** მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში სპორტსაზოგადოება „ტრუდისა" და მოზარდთა სპორტსკოლის მოკრივეთა გუნდური შეხვედრა დასრულდა ფრედ — 5:5. თავიანთ წონებში გაიმარჯვეს ი. გობოზოვმა, ა.გაბარაევმა, ა. სანიხჩიანმა და ე. გერგაულოვმა.

***თელავი.*** მოეწყო შეჯიბრებები ფეხბურთსა და ქართულ ჭიდაობაში ადგილობრივ და გურჯაანელ სპორტსმენებს შორის. ფეხბურთში მატჩი მოიგეს გურჯაანელებმა — 4-0, ქართულ ჭიდაობაში კი იმარჯვეს მასპინძლებმა.

*მოამზადა*
*ნინო ქავთარაძემ*

# პირველი ოსტატი აჭარიდან

ამაგი

ამბობენ, მოფარიკავეები სპორტული დღეგრძელობით გამოირჩევიან. ეს ჭეშმარიტებაა, რადგანაც ფარიკაობის რთული ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფილად ათვისებას ათობით წელიწადი სჭირდება.

ბათუმელმა ნანა ანთაძემ წარუშლელი წვლილი შეიტანა არა მარტო აჭარის, არამედ, საერთოდ, ქართული ფარიკაობის განვითარებაში. წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

სუსტი აღნაგობის ტანმაღალმა, ვერცხლისწყალივით მოძრავმა ქალიშვილმა თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ზუსტად ერთი წელი დასჭირდა ნიჭიერ გოგონას, რათა ჯერ ფარიკაობის ანბანი ესწავლა, მერე ტოლებს გაჯიბრებოდა და რამდენიმე შესარჩევი შეჯიბრების შემდეგ საქართველოს იუნიორთა ნაკრებ გუნდში დამკვიდრებულიყო. სპეციალისტები ნანას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ნანა პირველად 1970 წელს საკავშირო ჩემპიონატზე გავიცანი. ეს იყო პირველი დიდი შეჯიბრება, რომელშიც ბათუმელი გოგონა მონაწილეობდა.

1975 წელს, რუსთავში, საქართველოს მეექვსე საზაფხულო სპარტაკიადაზე, აჭარისა და აფხაზეთის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდების პაექრობას უნდა გამოევლინა გუნდურ ჩათვლაში მესამე პრიზიორი რაპირისტთა შორის. ჩვენი გუნდის ღირსებას ქალთაგან იცავდა ნანა ანთაძე, სწორედ მან მოიგო გადამწყვეტი პაექრობა და მეტად საჭირო ქულა მოუტანა აჭარის მოფარიკავეთა ნაკრებს. მთლიანად, გუ-



ნდურ ჩათვლაში აჭარის სპორტული დელეგაცია კი მესამე საპრიზო ადგილზე გაიყვანა. სწორედ მაშინ მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. იგი პირველი მოფარიკავე სპორტის ოსტატი ქალია ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში.

თავდაპირველად ფარიკაობას აწ განსვენებული ნიკოლოზ მუშლიანის ხელმძღვანელობით ეზიარა. შემდგომში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან ზურაბ თავაძესთან აიმაღლა ოსტატობა.

1977 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბათუმის კოფეინის ქარხანაში ინჟინრად, ამჟამად კი — აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროშია. ერთ დროს მწვრთნელადაც მუშაობდა. მის აღზრდილთა შორის ბევრი ცნობილი მოფარიკავეა. მათ შორის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი პაატა ხურციძე. როგორც აჭარის ფარიკაობის ფედერაციის წევრი აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში.

სულ ახლახან ნანა ანთაძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

ოთარ მურვანიძე

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ფიოლერი კონფედერაციის თასზე მონაწილეობის წინააღმდეგია

ბერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება კონფედერაციის თასზე მონაწილეობას. „ამ ტურნირში გამოსვლა ფეხბურთელებისათვის დამატებითი დატვირთვაა, ამიტომ ბევრი ქვეყანა სარეზერვო გუნდებით იასპარეზებს, რაც დიდი უაზრობაა", — თქვა ფიოლერმა.

### დევიდ კულტჰარდი ეგონათ...

ცნობილმა გვარმა იხსნა შოტლანდიელი მოყვარული მძღოლი დიდი ჯარიმისგან. აკრძალულ ადგილას მანქანის გაჩერებისთვის როცა პოლიციელმა საბუთები მოსთხოვა, აღმოჩნდა, რომ მძღოლი დევიდ კულტჰარდი იყო. პოლიციელმა იგულისხმა, რომ მის წინაშე იყო „ფორმულა-1"-ის სახელოვანი მრბოლი და მოწიწებით დაუბრუნა საბუთები. ეს ამბავი თავად გაახმაურა „მაკლარენის" პილოტის სეხნიამ.

### კანიბალიზმი მადრიდის «რეალში»

**ძალისმიერი თამაში და უხეშობა დამახასიათებელია თანამედროვე ფეხბურთისათვის. მოთამაშეები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ, როცა მსაჯი მათ აჯარიმებს. ზოგიერთები მწყობრიდანაც გამოჰყავს ცხვირწინ აფრიალებულ წითელ ბარათს. მაგალითად, მადრიდის „რეალის" დუბლშემადგენლობის მოთამაშემ ხოსე მარი ლოპესმა, რომელიც დაბალდივიზიონელ „ნავალკარნეროსთან" მატჩის დროს მინდვრიდან გააძევეს, მსაჯს... მხარზე უკბინა.**

**„წითელი ბარათი რომ დავინახე, გავბრაზდი. საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე და, რაც გავაკეთე, ინსტინქტური რეაქცია იყო..." — განაცხადა ლოპესმა.**



# საქართველო — რუსეთი

## მატჩი შედგება უეჭველად თბილისში, ბილეთები კი უკვე მზადაა და იყიდება

თბილისში ჩამოსვლას არავინ ერიდება. რუსები საქართველოში დათქმულ დროს და უკვე შემუშავებული გრაფიკით ჩამოვლენ. სლავების ოლიმპიური ნაკრები 10 ოქტომბერს ჩამოფრინდება და 11 ოქტომბერს ეროვნულ სტადიონზე ქართველ თანატოლებს დაუპირისპირდება. ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 12 ოქტომბერს „ლოკომოტივზე“ გაიმართება. ჩვენი მეზობლების მთავარი გუნდი ჩარტერით მატჩის წინადღეს გვესტუმრება და „მეტეხში“ დაბინავდება. ოლიმპიელები „ვერე პალასში“ მოთავსდებიან. ორივე მატჩზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული, რაზედაც საგანგებო თათბირიც შედგა სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან თედო ისაკაძესთან. არც ერთი მაყურებელი ბოთლებით ხელში სტადიონზე ვერ შევა, გამაგრილებელი სასმელები მხოლოდ ქაღალდის ჭიქებში გაიყიდება. ეროვნულ ნაკრებთა მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს, მის ტექნიკურ მხარეს, მთლიანად თურქულ-ბერძნული ფირმა „დოლგან კორპორეიშენი“ უზრუნველყოფს. პირდაპირ რეპორტაჟს იხილავენ თბილისშიც და მოსკოვშიც. დაბეჭდილია აფიშები, დაიწყო ბილეთების გაყიდვაც. ბილეთების ფასი 10, 20, 30 და 50 ლარია. ფაქტობრივად, სულ 500 ცალი 50 ლარიანი ბილეთი უკვე გაყიდულია, კავკასიის ბიზნესსკოლის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა 500 10-ლარიანი ბილეთი შეიძინეს და მხურვალე გულშემატკივრობასაც აპირებენ. 1000 ბილეთი უფასოდ გადაეცათ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს. ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 16 საათზე დაიწყება, ეროვნული გუნდებისა — 20 საათზე. 11 ოქტომბრის მატჩს გაუძღვება სლოვენიელი მსაჯი. 12 ოქტომბრისას ნორვეგიელი არბიტრი მოემსახურება. ბილეთების ფასის თაობაზე განმარტებისათვის მივმართეთ სფფ-ს გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას:

„როდესაც ასეთ ფასს ვადებდით, ჩვენს ინტერესსაც ვითვალისწინებდით. ფაქტობრივად, დარჩენილია 10-20-30-ლარიანი ბილეთები, ეს ფასები სფფ-ს ხარჯებმა განსაზღვრა. ეს ოპტიმალური ფასია. შემოსავლიდან 50.000 ლარი სტადიონის იჯარაა გადასახდელი. სახელმწიფოს 60 ათასი ლარი ერგება. ვინაიდან თბილისიდან ევროპაზე უხარისხო სატელევიზიო სიგნალი ვრცელდება, იძულებული ვიყავით ხელშეკრულება გაგვეფორმებინა თურქულ-ბერძნულ ფირმასთან. მოძრავი სატელევიზიო სადგურის მომსახურება იჯარით 100 ათასი ლარი დაჯდა. ამავე დროს მოგახსენებთ, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს ეროვნულ ნაკრებთა მატჩის რეპორტაჟის უფლებას უფასოდ ვაძლევთ და ბავშვთა სკოლებსაც უფასო ბილეთები გადავეცით. ამას დაუმატეთ ლეგიონერთა მგზავრობის, ორი გუნდის მომსახურების, მატჩების მსაჯების მასპინძლობა. ამ თანხებს ანაზღაურება სჭირდება“.

საბა ლომინაძე

## ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველო — რუსეთის საფეხბურთო ნაკრებების 12 ოქტომბრის მატჩზე აკრედიტაციის მისაღებად 4 ოქტომბრამდე წერილობით უნდა მიმართოთ სფფ-ში მამუკა კვარაცხელიას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

## ქართველთა აზერბაიჯანული გაკვეთილები

### საქართველო — აზერბაიჯანი 1-0

(ცხრამეტწლამდელთა ნაკრებები)

**გუშინ გამართულ პირველ საკონტროლო შეხვედრაში ერთგვარი რევანში შედგა. ქართველმა ჭაბუკებმა სანდრო იაშვილის მე-40 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხეს მეზობელი თანატოლები. ჩვენი ნაკრებისთვის, რომელიც ერთ თვეში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება, აზერბაიჯანელებთან ამხანაგური პაექრობა ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია. მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ თვრამეტივე ფეხბურთელი გამოსცადა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: მემანიშვილი, კალაძე, იმედაშვილი, ბ. ჭელიძე, გოგინაშვილი, ბურნაძე, მჭედლიძე, დარსანია, მძინარიშვილი, იაშვილი, ელიავა, კალანდაძე, ლილუაშვილი, სილაგავა, დემეტრაძე, ახალაია, ოქროწივიძე, გ. ჭელიძე.**

ლელა ჯანკოტაძე





ბოლო დღეების განმავლობაში მეზობელი ქვეყნის ფეხბურთელთა ხსენება ხშირად გვიწევდა, ვინაიდან ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩვენებურებთან. ყველაფერი მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირით დაიწყო. თუმცა სახარბიელო და გასახარი სპორტული შედეგების თვალსაზრისით ჩვენ ვერაფერი მივიღეთ. უეფას რეგიონთა თასის შესარჩევ ეტაპზე ბაქოშიც სამივე მატჩი დათმეს ჩვენმა მოყვარულებმა, დაზუსტებული ინფორმაციით თანმიმდევრულად დავმარცხდით ბერძნებთან 1-2, უკრაინელებთან 1-5 და აზერბაიჯანთან 0-6.





წარუმატებელი გამოდგა საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების ამხანაგური მატჩებიც აზერბაიჯანელ თანატოლებთან. სუმგაითში ორივე საკონტროლო თამაში წავაგეთ 0-1 და 2-7. არადა, კუტივაძის შეგირდები 1 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ. ნაკრები მინსკში 30 სექტემბერს გაემგზავრება. 1-3 და 5 ოქტომბერს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იუგოსლაველებს, ხორვატებს და ბელარუსებს გაეჯიბრება.

ერთგვარი რევანშის საშუალება მიეცა საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებს, რომელმაც გუშინ აზერბაიჯანელებს უმასპინძლა. მეორე მატჩი დღეს გაიმართება.

## სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

## ქვის სროლა და გინება — დასჯადია!

**მოკლედ, არაფერი იცვლება. უკვე მერამდენედ, სადისციპლინო კოლეგიას ძირითადად სიტყვიერი შეურაცხყოფის და ქვების სროლის საკითხების გარჩევა უწევს. იგინება ყველა — მწვრთნელი, კლუბის ადმინისტრატორი, ფეხბურთელი, მაყურებელი. ადრესატები კი, რა თქმა უნდა, მსაჯები არიან. საქმე იქამდეც მივიდა, ფეხბურთელები ერთმანეთსაც აღარ ინდობენ.**

გუშინწინდელი სხდომა შედარებით „მსუბუქი“ საკითხის გარკვევით დაიწყო. ამბროლაურში ჩასვლა წალენჯიხელებს ნახევარი საათით დაუგვიანდათ და რეგიონული ლიგის მატჩი „რაჭა“ — „სქური“ არ შედგა. რაჭველებს ტექნიკური მოგება 3-0 ჩაეთვალათ. თანმიმდევრობით სანქციები ასე განაწილდა: „გურიის“ მოთამაშე ხუნაშვილი მინდვრიდან გააძევეს, იგი ერთ თამაშს გამოტოვებს. პირველი ლიგის გუნდების „ლოკო“ — ჭაბუკთა ნაკრები, მატჩში მეტოქეებმა ტაბიძემ (ლოკო) და ხოჯავამ (ეროვნული ნაკრები) ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ორივე ფეხბურთელი ორ მატჩს გამოტოვებს და 100-100 ლარს გადაიხდიან. „თორი“ — „ლიახვის“ მატჩში მსაჯის გინებისთვის „ლიახვის“ ფეხბურთელი კახნიაშვილი სამი თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 150 ლარით დაჯარიმდა. გინებისთვის დაისაჯა რუსთაველი არსოშვილი, იგი ორ მატჩში ვერ დაეხმარება თანაგუნდელებს. 2-2 თამაშით არიან დისკვალიფიცირებული სხვადასხვა ლიგებში მოასპარეზე ფეხბურთელები: თირქია (ცხუმი), მინჯია (ცხუმი), ნოზაძე (ვაკე91). გვაზავა (სსუ) ერთ მატჩს გამოტოვებს. „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ მატჩისას ბოლნისელმა კახა სიდამონიძემ გაგულისებულმა ჯერ გვერდით მსაჯს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მერე კი ვინც თვალში არ მოუვიდა და ცუდად გაახსენდა, ყველას აგინა. მთავარმა მსაჯმა მეშკოვმა „ენაწყლიანი“ ფეხბურთელი მხოლოდ გააფრთხილა. მატჩის ინსპექტორმა კი მისი ბარათი წამოიღო და საქმეც კოლეგიამ გაარჩია. სიდამონიძე ორ მატჩში ვერ გავა მინდორზე. უცნაური ამბავი მოხდა რეგიონული ლიგის გათამაშებაში „ყაზბეგი“ — „პრემას“ მატჩში. პრემელმა ცხოიძემ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, თანაგუნდელების გინება დაიწყო, რისთვისაც იგი ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

ახლა მუშტიკრივზეც ვთქვათ. უმაღლესი ლიგის კლუბების — „გორდა“ — „მილანის“ თამაშისას მსაჯობით უკმაყოფილო რუსთაველთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ბესიკ ქავთარაძე თანამსაჯ ხეცაძეს გამოეკიდა და ჩაწიხლა. ერთ-ერთი საკლუბო ხელმძღვანელის საქციელზე თუ უსაქციელობაზე კოლეგიას დიდხანს არ უმსჯელია. ქავთარაძე ფეხბურთიდან მოიკვეთა და 1000 ლარით დაჯარიმდა. „ფოლადის“ სტადიონის მესვეურნი, იმისთვის, რომ წესრიგი ვერ უზრუნველჰყვეს, გააფრთხილეს და 200 ლარი ჯარიმაც დააკისრეს.

„დილა“ — „ვიტ ჯორჯიას“ და „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩებში გინება არ იკმარეს, სროლაც ატეხეს, „საბედნიეროდ“, ერთგან ბოთლებისა, მეორეგან ქვებისა. კოლეგიამ კარგა ხანს იმსჯელა, ორივე მატჩის დოკუმენტაცია გულდასმით გადაიკითხა და ორივე შეხვედრის პერიპეტიების გარჩევა დღეისთვის, პარასკევისთვის გადადო, თანაც ყველას მოუხმეს, მსაჯებსაც და ფეხბურთელებსაც.

საბა ლომინაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონს ფეხბურთში (სეული, 1988 წ.), თბილისის „დინამოს“ და ეროვნული ნაკრების ვეტერან ფეხბურთელს ბელა კეტაშვილს.

### საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, IX ტური

### ანონსი

*28 სექტემბერი*

მეტალურგი — ვიტ ჯორჯია
მილანი — დინამო (ბთ)
სიონი — გორდა
კოლხეთი1913 — დილა (ჩატარდება 16 საათზე).
დინამო (თბ) — მერანი (ჩატარდება 19 საათზე)

*29 სექტემბერი*

ლოკომოტივი — ტორპედო

გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 6 | 1 | 1 | 15-2 | 19 |
| დინამო (თბ) | 7 | 6 | 1 | 0 | 14-1 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 12-5 | 16 |
| ლოკომოტ. | 7 | 5 | 1 | 1 | 11-2 | 16 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 7-10 | 13 |
| კოლხ.1913 | 8 | 3 | 2 | 3 | 10-12 | 11 |
| სიონი | 8 | 3 | 1 | 4 | 6-10 | 10 |
| მერანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| დილა | 8 | 1 | 2 | 5 | 3-11 | 5 |
| მილანი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-13 | 5 |
| დინამო (ბთ) | 8 | 0 | 4 | 4 | 4-8 | 4 |
| გორდა | 8 | 1 | 0 | 7 | 2-14 | 3 |



## კახი კალაძე: „რუსებთან ბოლომდე ვიბრძოლებთ“

*(პირველი გვერდიდან)*

ბის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალიან ძნელი იყო, — წერს კახი კალაძე მისსავე ინტერნეტსაიტში, — გახსოვთ, ალბათ, მე ნაკრებში თამაში ვიუარე საკუთარი ძმის დაკარგვის გამო, მაგრამ გადის დრო და ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს ვეუბნები: შენ რა შეგიძლია გააკეთო? კალაძე მიხვდა, რომ ამ საქმეში არ იყო დამნაშავე გულშემატკივარი, რომლებსაც „მილანის“ ფეხბურთელის წარმატებები უხარია. „მე ბედნიერი ვარ, რომ ბევრი მეგობარი აღმომაჩნდა“, — ამბობს კალაძე — გული მეტკინა, რომ შვეიცარიელებთან წავაგეთ, იმედი გავუცრუეთ ქართველ გულშემატკივარსაც, რომლებსაც ძალიან უყვართ ფეხბურთი. ამიტომ მინდა, რომ ყველას ბოდიში მოვუხადო ასეთი თამაშისათვის, მარცხისათვის... შვეიცარია არ არის ის გუნდი, ჩვენ რომ 1-4 წავაგოთ. ბევრი შეცდომა დავუშვით, ბევრი იყო წუნი. ერთ-ერთი მთავარი წუნი კი მოძრაობის დაბალი სიჩქარეა, — თანამედროვე ფეხბურთი — ეს არის მაღალი სისწრაფე, ტექნიკა, ტაქტიკა... ჩვენ კი ისე ვთამაშობდით შვეიცარიასთან, როგორც 80-იან წლებში ეზოს ფეხბურთს.

ვფიქრობ, რუსებთან მატჩამდე ყველაფერი უნდა გაანალიზდეს, უნდა ვიფიქროთ: რა უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ შემდგომში გულშემატკივრისთვის თვალებში შეხედვისა არ გვრცხვენოდეს. ერთ რამეს გპირდებით: რუსებთან მატჩში ბოლომდე გავიხარჯებით. ძნელი ბრძოლა გველის: რუსეთის ნაკრები 3-4-ჯერ ძლიერია შვეიცარიის გუნდზე, მაგრამ არაფერს დავთმობთ“.





* **

**გუშინ კახი კალაძემ „სპორტ სეგოდნიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველო-რუსეთის 12 ოქტომბრის მატჩზე ისაუბრა. „მახსოვს, ბავშვობაში ხშირად დავდიოდი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ თამაშებზე. ამ ორი გუნდის შეხვედრა ქართველი გულშემატკივრებისთვის ნამდვილი ზეიმი იყო. არ მესმის, იმის შემდეგ რატომ უნდა შეცვლილიყო ამ ორი ხალხის ურთიერთობა უარესობისკენ. საქართველოსაც და რუსეთსაც არაერთი ომი გადაუტანია, ერთადაც კი, დამისახელეთ ერთი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ომებს ბედნიერება მოეტანოს მისთვის, მოდით მეგობრებო, დავანებოთ თავი ყოველგვარ ისტერიას, თუნდაც იმიტომ, რომ ომის მიზანი ყოველთვის მშვიდობა იყო. დარწმუნებული ვარ, რომ 12 ოქტომბერს თბილისში საფეხბურთო ზეიმი იქნება“ — თქვა კალაძემ.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს მამიდის გარდაცვალების გამო.

## პირველი ლიგა, IV ტური

დინამო2 — ლოკომოტივი2 0-1
მერცხალი — კოლხეთი (ხ) 3-0
ქობულეთი — ივერია 1-2
ალაზანი-მერანი — სამგურალი 2-2
ლაზიკა — ლოკომ. (სამტრედია) 3-0
ლოკო — ცხინვალი 2-1
თსუ — ჭაბუკთა ნაკრები 2-1
გურია — მცხეთა (ჩატარდება დღეს, 27 სექტემბერს).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| ლაზიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| ივერია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| ჭაბუკ. ნაკრ. | 4 | 2 | 0 | 2 | 11-8 | 6 |
| ლოკომ.2 | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| სამგურალი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| გურია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| დინამო2 (თბ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| მცხეთა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| ლოკ.(სამტრ) | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| ქობულეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-5 | 3 |
| ლოკო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| ალაზ-მერანი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| კოლხეთი (ხ) | 4 | 0 | 1 | 3 | 0-7 | 1 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მესამე ტურის წინ „ბაიერნს“ „მილანთან“ მძიმე ბრძოლა ელის

**ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი ტური გავიდა. რა შეიძლება ითქვას? უკვე გამოიკვეთნენ ლიდერები, აგრეთვე ის გუნდები, რომლებიც პრაქტიკულად (თორემ თეორიული შანსები ყველას აქვს შემორჩენილი) წლევანდელ ევროპულ სეზონს ჯგუფში ჩაამთავრებენ. სჯობს, ჯგუფებს თანმიმდევრობით მივყვეთ და მომავალ მატჩებზეც ვისაუბროთ.**

**A ჯგუფში** „არსენალმა“ მართლაც რომ რიხიანად განვლო ორივე ტური. ლონდონელებმა „ეინდჰოვენი“ სტუმრად დაამარცხეს დიდი ანგარიშით 4-0 და სათავეში ჩაუდგნენ ჯგუფს. საინტერესოა, რომ ინგლისურ კლუბს ჯერ ერთი გოლიც არ აქვს გაშვებული.

მესამე ტურში „არსენალი“ კვლავ სტუმრად თამაშობს. ამჯერად „ოსერთან“, ხოლო „ეინდჰოვენი“ საკუთარ მინდორზე უმასპინძლებს დორტმუნდის „ბორუსიას“ და დაკარგული იმიჯის დაბრუნებას შეეცდება.

**B ჯგუფში** თვალშისაცემია „ვალენსიას“ მაქსიმალური შედეგი, — მას ექვსი ქულა აქვს. „ლივერპულმა“ კი პირველ ტურში დამარცხების შემდეგ დაუგეგმავი ორი ქულა დაკარგა საკუთარ მოედანზე „ბაზელთან“. ინგლისელებს 1 ქულა აქვთ და 2 ოქტომბერს საკუთარ მოედანზე „სპარტაკთან“ შეხვედრაში ჰაერივით ესაჭიროებათ გამარჯვება. „ვალენსია“ კი „ბაზელს“ მიიღებს.

**C ჯგუფში** მეტოქეთა განადგურებას განაგრძობს მადრიდის „რეალი“, რომელმაც მეორე ტურში 6 უპასუხო გოლი გაუტანა „გენკს“ და ახლა ალბათ, აეკ-ის „ჯერიც დადგა“. ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს „რომას“ ჯერჯერობით ერთი გოლიც ვერ გაუტანია. იქნებ „გენკთან“ გასვლით შეხვედრაში ეშველოს.

**D ჯგუფში** 2 ოქტომბერს ლიდერი „ინტერი“ „ლიონს“ უმასპინძლებს, ხოლო „აიაქსი“ სტუმრად გამარჯვებას გეგმავს „რუსენბორგთან“.

**E ჯგუფში** 4-4 ქულით „იუვენტუსი“ და „ფეიენოორდი“ დაწინაურდნენ. მესამე ტურში 1 ოქტომბერს ისინი შესაბამისად „ნიუკასლსა“ და კიევის „დინამოს“ უმასპინძლებენ.

**F ჯგუფის** ერთპიროვნული ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ოლიმპიაკოსს“ ეთამაშება. „ლევერკუზენი“ ჯგუფში ბოლო ადგილზეა — მას ერთი ქულაც არ აქვს და თუკი სტუმრად „მაკაბის“ ვერ მოუგებს, ალბათ, შემდგომ ეტაპზე გასვლა გაუჭირდება.

**G ჯგუფში** 1 ოქტომბერს ცენტრალური მატჩი გაიმართება. მიუნხენის „ბაიერნი“ საკუთარ მოედანზე ერთპიროვნულ ლიდერს — „მილანს“ უმასპინძლებს. გერმანელები მხოლოდ ქულის ამარა არიან და ცხადია, ყოველ ღონეს იხმარენ წარმატების მისაღწევად, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ „მილანს“ წელს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავს. ამავე ჯგუფში „დეპორტივო“ „ლანსს“ უმასპინძლებს. სპეციალისტები უპირატესობას, რა თქმა უნდა, ესპანელებს ანიჭებენ.

**H ჯგუფში** „ბარსელონა“ პირველ ადგილზეა და ახლა მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ ცდის ძალებს. „გალათასარაი“ კი ცხადია, სამი ქულის აღებას გეგმავს საკუთარ მოედანზე.


რეალი – გენკი


აეკ – რომა

### გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ტურნირის ტექნიკურ შედეგებს:

**A ჯგუფი**

ეინდჰოვენი — არსენალი 0-4 (0-1)

*გოლები:* 0-1 ჟილბერტუ სილვა (1), 0-2 ლუნგბერგი (66), 0-3 ანრი (82), 0-4 ანრი (90).

ბორუსია (დ) — ოსერი 2-1 (1-0)

*გოლები:* 1-0 კოლერი (6), 2-0 ამოროზო (78), 2-1 მვარუვარი (83).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| ბორუსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ეინდჰოვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |

**B ჯგუფი**

სპარტაკი — ვალენსია 0-3 (0-1)

*გოლები:* 0-1 ანგულო (6), 0-2 მისტა (71), 0-3 სანჩესი (85).

ლივერპული — ბაზელი 1-1 (1-1)

*გოლები:* 1-0 ბაროში (34), 1-1 როსი (43).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**C ჯგუფი**

აეკ — რომა 0-0

რეალი — გენკი 6-0 (2-0)

*გოლები:* 1-0 სოკორა (44 საკ. კარში), 2-0 სალდაგო (45), 3-0 ფიგუ (55), 4-0 გუტი (64), 5-0 სელადესი (74), 6-0 რაული (76).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-6 | 1 |

**D ჯგუფი**

ინტერი — აიაქსი 1-0 (0-0)

*გოლი:* 1-0 კრესპო (75)

ლიონი — რუსენბორგი 5-0 (4-0)

*გოლები:* 1-0 კარერი (6), 2-0 ვერელი (26), 3-0 ანდერსონი (34), 4-0 ვერელი (45), 5-0 ლუინდულა (75).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-2 | 3 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-7 | 1 |

**E ჯგუფი**

იუვენტუსი — დინამო (კ) 5-0 (2-0)

*გოლები:* 1-0 დი ვაიო (14), 2-0 დელ პიერო (22), 3-0 დი ვაიო (52), 4-0 დავიდსი (76), ნედვედი (79).

ნიუკასლი — ფეიენოორდი 0-1 (0-1)

*გოლი:* 0-1 პარდო (4).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| ფეიენოორ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**F ჯგუფი**

ლევერკუზენი — მანჩესტერი 1-2 (0-2)

*გოლები:* 0-1 ვან ნისტელროი (31), 0-2 ვან ნისტელროი (44), 1-2 ბერბატოვი (52).

მაკაბი — ოლიმპიაკოსი 3-0 (0-1)

*გოლები:* 1-0 აუგბენი (27 პენ.), 2-0 აუგბენი (61), 3-0 აუგბენი (86).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| ოლიმპიაკ. | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| ლევერკუზ. | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |

**G ჯგუფი**

დეპორტივო — მილანი 0-4 (0-2)

*გოლები:* 0-1 ზეედორფი (17), 0-2 ინძაგი (33), 0-3 ინძაგი (55), 0-4 ინძაგი (62).

ლანსი — ბაიერნი 1-1 (0-1)

*გოლები:* 0-1 ლინკე (23), 1-1 უტაკა (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-6 | 3 |
| ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| ლანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**H ჯგუფი**

ბრიუგე — ლოკომოტივი 0-0

გალათასარაი — ბარსელონა 0-2 (0-1)

*გოლები:* 0-1 კლუივერტი (27), 0-2 ლუის ენრიკე (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| გალათასარ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ლოკომოტ. | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

## ოლეგ ბლოხინი: „თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ“



*როგორც ვიუწყებოდით, დღეს, 27 სექტემბერს კიევში გაიმართება ყოფილ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ნაკრების ვეტერანთა საფეხბურთო მატჩი, რომელიც ეძღვნება საბჭოთა ფეხბურთის 70 — 80-იანი წლების ვარსკვლავის ოლეგ ბლოხინის 50 წლის იუბილეს.*

*ცნობილი გახდა იმ ვეტერან ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ამ შეხვედრაში იასპარეზებენ. ესენი არიან: რინატ დასაევი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, ოლეგ სალენკო, ალექსანდრე ზავაროვი, ალექსეი მიხაილიჩენკო, ლეონიდ ბურიაკი (საბჭოთა ნაკრები), ახლახან კიევში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადა გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც მსოფლიო ნაკრებს უხელმძღვანელებს. უკვე ცნობილია, რომ კიევში ითამაშებენ მიშელ პლატინი და ჯუზეპე ბერგომი.*

*რაც შეეხება თვით ოლეგ ბლოხინს, ამ უკანასკნელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „50 წლის კი ვარ, მაგრამ თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ. მჯერა, რომ 27 სექტემბერს ფეხბურთის მოყვარულთა ზეიმი იქნება. გულშემატკივრები კვლავ იხილავენ მოედანზე ძველ ვარსკვლავებს და ლამაზ თამაშს“.*

## დი კანიომ ინგლისურ პრესას „ნაგავი“ უწოდა

საფეხბურთო კლუბ “ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ფორვარდმა პაოლო დი კანიომ კრიტიკის ცეცხლში გაატარა ინგლისური პრესა. იტალიურ გაზეთ „კონტრი კამპოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში დი კანიომ განაცხადა, რომ „ყველა ინგლისური პრესა — ეს არის ნაგავი“.

ამგვარი შთაბეჭდილება დი კანიოს გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ინგლისურმა ჟურნალმა „დე სინმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ვესტ ჰემი“ — „ტოტენჰემის“ შეხვედრის დროს, იტალიელი ფეხბურთელი წაეჩხუბა თავისი კლუბის მწვრთნელს. დი კანიოს თქმით, ამგვარი არაფერი მომხდარა და ინგლისური პრესა ცდილობს მის მორალურად განადგურებას.

„მე მუდამ ვიბრძოლებ ინგლისელ ჟურნალისტების წინააღმდეგ“, — თქვა დი კანიომ.

## კონფედერაციის თასის გათამაშებას საფრანგეთი უმასპინძლებს

ფიფას აღმასრულებლო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კონფედერაციის თასის გათამაშება 2003 წელს საფრანგეთში ჩატარდეს 18-29 ივნისს. მთავარი ჯილდოსთვის იბრძოლებენ მსოფლიო ჩემპიონები — ბრაზილიელები და პლანეტის 6-ივე კონტინენტის შეჯიბრებათა გამარჯვებულები: საფრანგეთის, კოლუმბიის, კამერუნის, აშშ-ის, იაპონიისა და ახალი ზელანდიის გუნდები, აგრეთვე კიდევ ერთი მოწვეული გუნდი, რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

## მსაჯი საფეხბურთო მოედანზე... მოკლეს

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა ურუგვაის საფეხბურთო ჩემპიონატზე, ლას პედრასის ორი ქალაქური გუნდის შეხვედრის დროს. მსაჯმა კარლოს რაულ დე ლეონ აკოსტამ უხეშობისათვის ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელი მოედნიდან გააძევა, რამაც ამ კლუბის გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. ისინი მოედანზე შეიჭრნენ და მსაჯს სხვადასხვა საგნებით ცემა დაუწყეს. ერთ-ერთი მძიმე ლითონის საგნის დარტყმამ არბიტრის სიკვდილი გამოიწვია... შეტაკება არც ამ შემთხვევის შემდეგ შეწყვეტილა: პოლიცია ორი საათის განმავლობაში ცდილობდა ფანატების დაშოშმინებას. დააპატიმრეს რამდენიმე ათეული გულშემატკივარი.

## როჟე ლემერი ტუნისის ნაკრებს უხელმძღვანელებს



საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა, როგორც იქნა, ახალი სამუშაო იშოვა — ტუნისის ფეხბურთელთა ნაკრების თავკაცად დანიშნეს. ლემერმა შეცვალა ამარა სუაია, რომლის თავკაცობით ტუნისელებმა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლეს ბელგიელებთან მატჩში. რაც შეეხება როჟე ლემერს, შეგახსენებთ, რომ ეს პიროვნება საფრანგეთის ეროვნულ გმირად იქცა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები 2000 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თავი შეირცხვინა — ფრანგებმა ერთი გოლიც ვერ გაიტანეს და ჯგუფიდან ვერ გავიდნენ.

## ანტიკვარად ქცეული ბურთი

ცნობილ სავაჭრო სახლ „კრისტიესში“ გამართულ აუქციონზე 32,9 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა საფეხბურთო ბურთი, რომლითაც 1888 წელს, ინგლისის თასის ფინალში ითამაშეს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ და „პრესტონ ნორტმა“. (მატჩი მოიგო „ალბიონმა“ 2-1). მყიდველმა თავისი ვინაობა არ გაამხილა. ყველაზე ძვირად — 47 ათას ფუნტად გაიყიდა იტალიის 1943 წლის თასი, რომლის მფლობელიც „ტორინო“ გახდა.

## სებასტიან როსი „პერუჯას“ კარს დაიცავს



„მილანის“ ყოფილი გოლკიპერი სებასტიან როსი საფეხბურთო კარიერას „პერუჯაში“ გააგრძელებს. ამ გუნდის ღირსებას ის სეზონის ბოლომდე დაიცავს. 38 წლის როსი (სურათზე) უმუშევრად დარჩა მას შემდეგ, რაც „მილანმა“ გასულ ზაფხულს უარი თქვა მასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე. სხვათა შორის, როსის ეკუთვნის შესანიშნავი რეკორდი — 1993-94 წლებში მან კარი მშრალად შეინახა 929 წუთის განმავლობაში.

## რონალდო: კუპერი ცრუპენტელაა!


რონალდო და კუპერი

ბრაზილიელი რონალდო კვლავ არ წყვეტს საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ ცუდად გრძნობდა თავს მილანის „ინტერში“ ყოფნისას. „კუპერი ცრუობს, როცა ის საუბრობს ჩემთან კარგ ურთიერთობაზე. რაც ის „ინტერში“ მოვიდა, გუნდმა ერთი თამაშიც კი ვერ ჩაატარა მაღალ დონეზე. ეს იყო ჩვენი უთანხმოების საფუძველი და სწორედ ამიტომაც დავტოვე იტალია“ — თქვა რონალდომ.

## სექსი — მისი წარმატების საიდუმლო

„მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე სექსით გართობა, ეს ჩემი წარმატების საიდუმლოა, — განაცხადა რონალდომ ესპანეთის ერთ-ერთი ტელეარხის მიერ მოწყობილ შოუზე, — ერთი კია, რომ მამაკაცმა აუცილებლად პასიურად უნდა იმოქმედოს, რაც მას სიამოვნებას მიანიჭებს და ზედმეტ ენერგიას აღარ დახარჯავს“.

რონალდო ამბობს, რომ ასეთ საქმიანობას ის ექვსი წელია, რაც მისდევს.

# ამერიკელმა ქალებმა მამაკაცების გაფუჭებული საქმე გამოასწორეს




დასრულდა კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ფინალშიც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის გუნდი 5 ქულის სხვაობით — 79:74 (25:15, 23:20, 20:17, 19:14).

ამერიკელები მართალია, ფავორიტებად ითვლებოდნენ, თუმცა მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე საშუთნახევრით ადრე ისინი მხოლოდ ერთი ქულით იგებდნენ 72:71, რუსებს რამდენჯერმე ჰქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა, თუმცა ბოლო მომენტში არაზუსტად ისროდნენ ბურთს კალათში. მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო რუსი კორსტინი, რომელმაც მოედანზე 37 წუთი დაჰყო და გუნდს 27 ქულა შესძინა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სპეციალისტებმა დაასახელეს მსოფლიოს ვარსკვლავთა სიმბოლური ხუთეული: შენონ ჯონსონი (აშშ), ამაია ვალდესორრო (ესპანეთი), ელენა ბარანოვა (რუსეთი), ლაურენ ჯექსონი (ავსტრალია) და ლიზა ლესლი (აშშ).

# „რეალი" ევროლიგის ვარსკვლავებს ეთამაშება

მადრიდის „რეალის" კალათბურთელთა გუნდს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით, 3 ოქტომბერს, მადრიდში გაიმართება მატჩი „რეალსა" და ევროლიგის ნაკრებ ვარსკვლავთა შორის. ამ უკანასკნელს უხელმძღვანელებს ცნობილი სპეციალისტი ჟელკო ობრადოვიჩი, რომელმაც თავისთან შემდეგ კალათბურთელებს უხმო: დეიან ბოდირიგა, ხუან კარლოს ნავარო (ორივე – „ბარსელონა"), ტაიეს ედნი, მარჩელო ნიკოლა (ორივე – იტალიის „ბენეტონი"), გურ შელეფი, ნიკოლა ვუიჩიჩი (ორივე – „მაკაბი", ისრაელი), ფრაგისკოს ალვერტისი, არიელ მაკდონალდი (ორივე – „პანათინაიკოსი", საბერძნეთი), ლუის სკოლა („ტაუგრესი" – ესპანეთი), მიხალის კაკიუსისი (აეკ, საბერძნეთი), ფრედერიკ ვეისი („მალაგა", ესპანეთი).

# ძმები კლიჩკოები იუნესკოს დაეხმარებიან

უკრაინელი პროფესიონალი მოკრივეები ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოები ამიერიდან იუნესკოს დაეხმარებიან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის უტე ოჰოვენსის მიერ დაგეგმილ 180 პროექტის განხორციელებაში, რომლითაც 87 ქვეყანაში სკოლების აშენებაა გათვალისწინებული.

# ლიტვა აპირებს საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს

*ევროპის 2007 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მისაღებად, ამ ქვეყნის მთავრობამ უკვე გააგზავნა შესაბამისი დოკუმენტები ლიტვის ეროვნულ ფედერაციაში. შეგახსენებთ, რომ ლიტველმა კალათბურთელმა ვაჟებმა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მესამე ადგილი დაიკავეს.*

# ილიუმჟინოვის კანდიდატურა ერთადერთია



*ნოემბრის დასაწყისში, საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად, სლოვენიის ქალაქ ბლედეში გაიმართება ფიდეს მორიგი გენერალური ანსამბლეა, რომლის დღის წესრიგშია ფიდეს პრეზიდენტის არჩევნები. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფიდეს თავკაცად ისევ კირსან ილიუმჟინოვი დარჩება, რადგან ერთადერთი მისი კანდიდატურაა შემორჩენილი. გუშინწინ, კიდევ ერთმა პოტენციურმა კონკურენტმა, ბიზნესმენმა იგნატიუს ლეონმა მოხსნა თავისი კანდიდატურა. ეს გადაწყვეტილება ამ უკანასკნელმა ილიუმჟინოვთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. ფიდეს პრეზიდენტმა ლეონს პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს შეჰპირდა არჩევნების შემდეგ. მეორე ვიცე-პრეზიდენტი კი ნორვეგიელი მორტენ სანი იქნება.*

# პაველ ბურეს ოპერაციას გაუკეთებენ

*ნჰლ-ის კლუბ „ნიუ-იორკ რეინჯერსის" ფორვარდმა, რუსული ჰოკეის ვარსკვლავმა პაველ ბურემ „ნიუ-ჯერსისთან" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო. ექიმების დასკვნით, ბურესათვის ოპერაციის გაკეთებაა საჭირო, ის კი არ იციან, თუ როდის დაუბრუნდება მოედანს ჰოკეისტი.*




# მაგკი მსოფლიო ჩემპიონია

*ავსტრალიელმა ველომრბოლმა ბრედ მაგკიმ (სურათზე) მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე ინდივიდუალურ 4000 მეტრზე რბოლაში. ფინალში მან თანამემამულე ლიუკ რობერტსი დაამარცხა. მაგკიმ დისტანცია 4 წუთში და 17,875 წამში დაფარა. მესამე ადგილი დაიკავა იენს ლემანმა.*

# ჯენსონ ბატონი აშშ-ს „გრან-პრიზე" იასპარეზებს

„ფორმულა 1"-ის კლუბ „რენოს" ავტოპილოტ ჯენსონ ბატონი, ავადმყოფობის მიუხედავად, მაინც აპირებს აშშ-ს „გრან-პრიზე" იასპარეზოს.

*ამის შესახებ საინფორმაციო საშუალებებს აცნობა „რენოს" ტექნიკურმა დირექტორმა მარკ გასქოინმა. შეგახსენებთ, რომ ბატონს ბოლო დროს თავბრუსხვევა დასჩემდა, რის გამოც რამდენიმე ტესტ-რბოლა გამოტოვა. ექიმებმა ანტიბიოტიკები გამოუწერეს და ვარაუდობენ, რომ ჯენსონ ბატონი აშშ-ის „გრან-პრისთვის" მზად იქნება.*



*აქვე გეტყვით, რომ აშშ-ის „გრან-პრი" 29 სექტემბერს ჩატარდება ინდიანაპოლისის შესანიშნავ ტრასაზე. საინტერესოა, რომ როგორც ვარაუდობენ, შეჯიბრებას... 250 ათასი (!) მაყურებელი დაესწრება – ეს იქნება სრული ანშლაგი ინდიანაპოლისის ავტოდრომზე. უკვე 120 ათასი ბილეთია გაყიდული.*

# შალვა მიქელაძე



მძიმე ავადმყოფი, აფხაზეთიდან დევნილობით სევგამწარებული, 74 წლისა წავიდა ამქვეყნიდან საქართველოსა და აფხაზეთის სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი შალვა მიქელაძე. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამტრედიაში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზრდა, იქვე, სოხუმში დარჩა სამუშაოდ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" აფხაზეთის საბჭოში, სადაც მთელი 30 წელიწადი, 1990 წლამდე იყო მისი უცვლელი ხელმძღვანელი, შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე კი სპორტსაზოგადოება „შევარდენში" მუშაობდა. მისი ღვაწლი ღირსეულად დაფასდა — იყო საქართველოსა და აფხაზეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

შალვა მიქელაძის, როგორც გამორჩეული სპორტული მოღვაწისა და პიროვნების ნათელი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
აფხაზეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი".

---

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს მამიდის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და ს/ს საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერეს" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს მამიდის გარდაცვალების გამო.

---

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს მამიდისა და ბუბა კიკაბიძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდის სექტორი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები და მათი ხელმძღვანელები სამძიმარს უცხადებენ სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს მამიდის გარდაცვალების გამო.

---

თანამშრომლები და მეგობრები ღრმა სამძიმარს უცხადებენ ნარგიზა მესხს ბიძაშვილის

თამაზ მესხის

გარდაცვალების გამო.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




27 სექტემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია, ევრიკა. მსოფლიო სპორტი (10.45), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.20, 15.05, 16.50 – 1-ლი ეტაპის მე-2 ტურის მატჩების მიმოხილვა). „ფუტბოლ მუნდიალი" (18.10), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (19.20, 23.20), ოლეგ ბლოხინის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი: ს/კავშირის ნაკრები – მსოფლიო ნაკრები (20.55), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.05). ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. რუსეთის თასი (11.45, 18.55), ბ/რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.25), წყალ-სამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.15), ტაილანდური კრივი (23.45), ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკი (16.30, 20.30, 22.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (2.45, 3.45).

28 სექტემბერი. შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ.*** პროფესიული კრივი. მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეები. ნასიმ ხამედი – ვაიანი ბუნგუ (23.30), ***НТВ плюс футбол.*** ოლეგ ბლოხინის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი ს/კავშირი – მსოფლიო ნაკრები (13.15), „ფუტბოლ მუნდიალი" (15.25), ინგლისის ჩემპიონატი: „ლიდსი" – „არსენალი" (15.55), გერმანიის (18.25, 22.20), რუსეთის (20.35), ესპანეთის (0.25), უკრაინის (2.20) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. რუსეთის თასი. ფინალები ცალკეულ სახეობებში (11.45), წყალ-სამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.20), კარატე. ვადო-კაი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.35), სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი-2002. პროფესიონალები. (18.35), დიდი რინგი (21.40). რუსეთის ჩემპიონატი. რუსული ორთაბრძოლა (23.40). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკი (12.00, 21.30), რბოლები ეტლიანი მოტოციკლებით, მსოფლიო ჩემპიონატი (20.30). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (2.15).

29 სექტემბერი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: თბილისის „ლოკომოტივი" – ქუთაისის „ტორპედო" (17.00), *ევრიკა.* ევროპის სტადიონებზე (11.45), მსოფლიო ფეხბურთი (19.30), ***НТВ.*** „ფორმულა-1". მსოფლიო ჩემპიონატის გრან-პრი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის (11.15), ესპანეთის (15.00, 1.35), იტალიის (17.55, 23.25), გერმანიის (20.25) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.25), ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები (11.45, 20.55 – ჰოლანდია – საბერძნეთი; 22.55 – ესპანეთი – იუგოსლავია), ბილიარდის მეფეები (0.30), ***EUROSPORT.*** რბოლები ეტლიანი მოტოციკლებით, მსოფლიო ჩემპიონატი (14.30), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკი (20.30)

# კროსვორდი № 75



თარაზულად: 1. არგონავტთა გემი, 7. სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი, 9. იაპონური ჩოხა, 10. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 11. ძალოსნური ინვენტარი, 13. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, პიერ... 14. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი ვაჟი, 16. ნბა-ს კლუბი, 17. წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 1964 წელს „ოქროს ბურთის" მფლობელი, 18. ინგლისური საზომი ერთეული, 19. ცნობილი ინდოელი მოჭადრაკე — დიდოსტატი, 23. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 24. ცხენის მოსართავის ატრიბუტი.

შვეულად: 2. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელ მაკაის სახელი, 3. კვიპროსის საფეხბურთო გუნდი, 4. ფრანგი ფეხბურთელი, 5. საჭადრაკო დაზავება, 6. მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი, 7. „ჩელსის" ფეხბურთელი, 8. „ფორმულა-1"-ის გუნდი, 9. „ლიდსის" მთავარი მწვრთნელი, 12. სერია A-ს საფეხბურთო გუნდი, 15. ხალხური ქალაქური თამაშობა, 17. საფრანგეთის ჩემპიონი ფეხბურთში, 20. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 21. ცნობილი მოჭადრაკე ქალის სახელი, 22. ქართული სარაგბო კლუბი.

## კროსვორდი №74. პასუხები

თარაზულად: 3. ხარბედია, 6. ტიგანა, 8. რურუა, 9. სტამი, 11. ასპე, 13. „ალგა", 15. ბროლი, 16. კაპრიატი, 19. ჩუი, 20. ნენე, 21. ლახტი. შვეულად: 1. ფინტი, 2. ინსი, 4. ბურე, 5. დარასელია, 7. კალანდაძე, 10. მარსელი, 12. ბობიჩი, 14. კროლი, 17. ტოტი, 18. ვეა.

# საჭადრაკო ამოცანა

ა. შოშინი, 1894 წ.



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კh4 g5 2. მფg1 g4 3. კg5 მფg3 4. ეc3X თუ 3. ...g3 4. ეh4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩილაძე